სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
თ.-აზნაურო ქარვასლა
ხელ-მომწერნი გაზეთის დასაკვე-
თად მიმართავენ რედაქციის დილის
11 საათამდე და საღამოს 6—7
„წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
უსახელოდ-მოუწერავ წერილებს რე-
დაქცია არ ბეჭდავს.
პირ-და-პირ მოლაპარაკება რედაქ-
ტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან.,—ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
Тифлисъ, Дворцовая ул. д.
Дворянства.
Телефонъ № 363

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი“
ეღირება 4 მან., და 50 კაპ.

ორთქლით მომუშავე სატმბა
ექვთიმე ი. ხელაძისა
საპერის ქუჩა საკუთარ სახლებში № 4.
(არსებობს 1873 წლიდამ).

სტამბამ ახლათ მიიღო: ახალი სისტემის ორთქლით მომუშავე საბეჭდავი მაშინა დიდი ზომისა, მოწყობილი სათვლელი და საჭრელი ავტომატიური აპპარატებით.

მიღებულია ახალი შრიფტები ჰ. ბერტჰოლდის ასოთ-საჭრელი-დან (ბერლინში) ყოველნაირი ზომისა და სახისა.

მომუშავეთა რიცხვი შევსებულია დახელოვნებული ოსტატებით.

ასრულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს. ბეჭდავს ყველა ედ-ნობრივი, რუსული და უცხოეთის ენებზე წიგნებს, ბროშურებს, ბლანკებს, იარლიკებს, პლაკატებს, განცხადებებს, აფიშებს, სადარბაზო ბარათებს და სხვ. და სხვ.

საქმის ასრულება დროზედ, სუფთად და ყველასთვის ხელმისაწვდომ-ფასათ. ტფილისის გარეშეთ შეუძლიან მოგვმართონ ამ ადრესით: Въ Тифлисъ, Типографію Е. Хеладзе. (50—10)

გამოვიდა და ისყიდება მეოთხე სურათებიანი გამოცემა ძმათა თავართქილაძეების წიგნის მაღაზიისა

„სახელმძღვანელო“
სამღვთო სჯულის სასწავლებლად საერო და სამრევლო სკოლების მოწაფეთათვის

შედგ. მღვ. ნ. ყუბანეიშვილის მიერ
ფასი ყდით 30 კაპ.
შემოსავალი თითო კაპეიკი გადიდება სვეტი-ცხოვლის ტაძრის შესაკეთებელ ფონდისათვის. (20—14)

ქ. ქუთაისი
ექიმი
ნ. გ. ჭიჭინაძე
იღებს ავადმყოფებს
დილის 9—11 საათამდე
და საღამოს 4—6 საათ.
ლევაშოვის ქუჩა პ. ხარაზოვის
სახლი № 13.
ДОКТОРЪ Н. Г. ЧИЧИНАДЗЕ
Кутаисъ, Левашеская ул. № 13.

კისრულობ

...ტყის განიხვრას, ვადაზე ვას-...ებ საჩქარო საქმეს, რაც შე-...ება, მალე ვშოულობ სესხს ...რც სასოფლო მეურნეობი-სათვის, ისე ხე-ტყით სარგებლობისათვის.

ადრესი: ტფილისი, ალექსი გრიგორის ძე სნეჟნაკოვა, ლაბორატორის ქუჩა სახლი № 26, ტელეფონი 567. (10—9)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. ქ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ф. ბაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. ქ. მარშამსკი.

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და მასაჟისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

Лѣчебница В. С. Топурія въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

—

*** ბანკის დამფუძნებელ წევრთა ფულის გამო. თუ რას უნდა მოჰხმარდეს ხსენებული ფული აი, ამის შესახებ საკმაოთ ბევრი აზრები გამოითქვა, უმეტესი წილი მათ შორის სულ ყველა თითქმის იმ აზრისაა, რომ ეს ფული უსათუოდ ისევ სწავლა-განათლების საგანს მოვახმაროთო, ჩვენის მამა-პაპების ანდერძისამებრივო, ოლონდაც, რომ კარგი და პატიოსანი რჩევაა ეს ყველასაგან და, აი ახლა ბევრს ეს კითხვები ლა დარჩენია გადასაწყვეტათ, ნეტა რომელ სპეციალურ სწავლა-განათლებას უფრო ემჯობინება, რომ მოჰხმარდესო და აი ამის შესახებ ზოგი სხვა-და-სხვა აზრისაა, მაგალითად ჩვენი პატივცემული პროფესორი ბ-ნი პეტრიაშვილი № 30 გაზეთ „ივერიის“ საშუალებით გვირჩევს და მოჰყავს შემდეგი სურათი ჩვენის ცხოვრებიდან სხვათაშორის იგი ბრძანებს, რომ „ჩვენში როგორც ეკონომიურად ისე გონებრივად, თუ უკან გადაგვარებისაკენ არ მიდის ჩვენი ცხოვრება, წინ მსვლელობა ხოლო ცოტა ეტყობაო და სხ... მართლაო ჩვენი ახალი თაობა განათლებას დაეწაფა, ბევრნიც გვყავნან წინ გავლილნი, მაგრამ, სამწუხაროდ მათ წინ მსვლელობას ჯერ-ჯერობით არავითარი კვალი არ დაუმჩნევიათო და სხ... და აი ამ სავაგლახო მდგომარეობიდგან გამოსასვლელად და ცოტაოდნათ წინ ფეხის გადასადგმელად საჭიროა ჩემის აზრითო 1) ჩვენი ქალების ეროვნულის ნიადაგზედ აღზდაო და, 2) ჩვენი ახალგაზდობის სწავლა-განათლების სასარგებლო ნიადაგზედ დაყენებაო ე. ი. გვირჩევს მეურნეობის და მრეწველობის შესწავლას, რომ მარტო ყველა უნივერსიტეტულის სწავლით სხვის მოხელეებათ და ჩინოვნიკებათ არ დარჩნენ როგორც ახლა ხდება ხოლმეო და სხ... ღვთის წყალობა ქონდეთ, რომ ყველა ეს კარგი რჩევა იყვეს, და ვინ იტყვის, რომ ჩვენ შორის დღეს ისეთი სულიდგან ხელაღებული და ღმერთ გამწყრალი მოიპოვებოდეს, რომელმაც გაბედოს და ესა სთქვას, რო ბანკებიდგან დაბრუნებულ ფულს საზოგადო და საშვილიშვილო საქმეს ნუ მოვახმარებთო, და ის სთქვან ვინმე, რო დღეს ჩვენთვის სწავლა-განათლება არ არის საჭიროვო (ნამეტნავათ ხომ უფრო ისეთი როგორც ბ ნი პეტრიაშვილი გვირჩევს), მარამ აბა ბატონებო, სანამ დრო გვაქვს კიდევ ერთი ეს ორი საგანი ერთათ დავიყენოთ თვალ-წინ და კარგათ ავწონ დავწონოთ და მერე ვიკითხოთ ამ ჟამათ რომელი უფრო საშვილი შვილოდ სასარგებლოდ იქნება და რომელი უფრო ადვილად და ჩქარა მიგვახწევინებს სურვილის საგანს. 1) ხსენებული ფული რომელიმე სწავლა-განათლებისთვის გადავდოთ? 2) თუ საალებ-მიცემო რაიმე საზოგადო საქმეები დავიწყოთ? სხვისა კი რა მოგახსენოთ და მე კი კერძოთ ამ ჟამათ მეორეს ვამჯობინებ პირველს, იმიტომ ბატონებო, რომ მეორეთი უფრო ადვილათ შეიძლება პირველი საწადელის აღსრულება, ვიდრე პირველისაგან მეორე. რამდენადაც ვიცნობთ და ვხედავთ თვით მაგალითებს ახლა ასეთი ხანა დგგვიდგა და ყველგან ალებ-მიცემობის შემწეობით იკვლევენ გზა-კვალს. თუ ჯერ ჩვენ ცოტათი მაინც წელი რიგიანათ არ გავიმაგრეთ და ჩვენს მომავალ შვილებს შესაფერი ნიადაგი არ მოუმზადეთ მატერიალურის მხრივ, გაძლევთ სიტყვას, რომ უამისოთ ისევ იგივე დაგვემართება და უფრო უარესიც, რა-

საც დღეს ასე უჩივით ე. ი ჩვენი შვილები და შვილიშვილები სულ სხვების ხელის შემყურენი დარჩებიან, და რომ ალებ-მიცემობის შემწეობით უფრო გავაბევრებთ ერთი-ათასათ თანხას და შვილებსაც შესაფერის სწავლას მივცემთ შემდეგ, ამაში ეჭვი არ არის, აი ამის დასამტკიცებელი საბუთი შორს, რომ არ წავიდეთ თვალწინა, გვაქვს ჩვენი სათავად-აზნაურო ბანკი, რომლის ალებ-მიცემობის შემწეობით დღეს ერთი ათასათ გადაგვექცა შეტანილი თანხა და მისის მოგებით ხომ იცით რამდენს სასარგებლო საქმეს ვახმარებთ და რამდენ შვილებსაც ვზრდით. ასეთი ბანკის ალებ-მიცემობა რომ არა გვქონოდა, სულ ცარიელები დავრჩებოდით. აი ეს გახლავთ ჩემი რჩევა, რომ ისევ ის ხსენებული ფული უსათუოდ რაიმე საალებ-მიცემო საგანს დაუთმოთ დროებით, და დავიწყოთ ისეთი საქმე, რომ ჩვენმა მტრებმა ეს დანარჩენი უკანასკნელი ლუკმა პირიდან არ გამოგვაცალონ. საზოგადო საალებ-მიმცემო საქმის დასაწყობათ ჩვენ არავითარი შიში არ უნდა გვქონდეს დღეს, რადგანაც საქმის მცოდნენი და დახელოვნებული ქართველებიც ბევრნი გვყვანან ღვთით.

შაქრო ი ვაჩნაძე

*** **ღოლობერიძის საქმე.** დასავ. კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზემ დაამტკიცა კავკასიის სამხედრო ოლქის განაჩენი ქ. გორში შტაბს-კაპიტნის ვორონკოვის მოკვლის საქმის თაობაზე. ამ განაჩენით ერთ ბრალდებულთაგანს უნტერ-ოფიცერს ღოლობერიძეს გადაწყვეტილი აქვს ჩამოხრჩობა. ღოლობერიძეს ჩამოახრჩობენ ამ დღეებში ქ გორში. ის გუშინ მატარებლით გაგზავნეს ტფილისის მეტეხის ციხიდან გორის სატუსაღოში.

*** **საფრანგეთიდან ვაზების გამოწერა.** საფრანგეთის მოქალაქემ ვ. ტიებომ სთხოვა კავკასიის საფილოქსერო კომიტეტს, ნება მომეცით საფრანგეთიდან 40,000 ვაზი გამოვიწერო, ჩემ მამულში დასარგავად, ქუთაისის გუბერნიაშიო.

*** **ყორღანოვის მოედანზე ბაღის გაშენება.** ქალაქის გამგეობამ ყორღანოვის მოედანზე ბაღის გასაშენებლად გადასდო 520 მან.

*** **მატარებლისაგან კაცის გასრესა.** 9 თებერვალს ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურ ტფილისის მახლობლად მატარებელმა გასრისა ვილაც მუშა, რომლის გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

*** **რაყას მცხოვრებთა შუამდგომლობა.** 10 თებერვალს ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა რიყის მცხოვრებთა შუამდგომლობა იმის შესახებ შემცირებულ იქნეს მათი სახლების დაფასება, რომლებსაც ყოველ წლივ ზარალი აქვთ მდ. მტკვრის მოდიდებისაგან. ტფილისის ქალაქის გამგეობამ ეს შუამდგომლობა შესაწყნარებლად სცნო და მიანდო უფროს სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველს ბ. ჯაბადარს წარუდგინოს გამგეობას ცნობები რიყის იმ ნაწილის შესახებ, რომელსაც ყოველ წლივ აზარალებს წყალდიდობა.

*** **ქუთაისი.** სახალხო წარმოდგენები. აქ ეს მესამეთ არის გამართული სახალხო წარმოდგენა და საპივეჯერ თეატრის გავსილმა დარბაზმა ნათლად დაამტკიცა, რამდენათ დამაკმაყოფილებელია ხალხისა ასეთი წარმოდგენა. გუშინ კასის წინ მოგროვილ ხალხის კრებას რომ ვუცქეროდი, როდესაც ხედავდი, რა ცილაობა იყო გამართული ბილეთების მყიდველთა შორის, ვრწმუნდებოდი, რომ ყველა ხალხზე ჩივილს, მისდამი მიმართულს საყვედურს, რომ მას სძინავს, სინათლეს ერიდება და სხვა, არავითარი საფუძველი არა აქვს. და ამის არ დანახვა ძალათ დაბრმავებას ნიშნავს. დიახ, ხალხში ძრიელია წყურვილი ცოდნის შეძენისაც, სინათლისაც, და ესაა მხოლოდ საჭირო, რომ ამ წყურვილს შესაფერი საზრდო მიეცეს, დაკმაყოფილდეს. აი ასპარეზი მოღვაწეობისა, სადაც ყველას გონიერს პატიოსანს მამულიშვილს, რომლის გულში სამშობლო ქვეყანაზე და ხალხზე ზრუნვას ცოტა რამე ალაგი უჭირავს, შეუძლია სამსახურის გაწევა, ამიტომაც დიდი მადლობის ღირსნი არიან აქაური სახალხო წარმოდგენების გამმართველნი, რომელთა პატიოსანი შრომა შესაფერი ნაყოფით დაჯილდოვდება. მადლობის ღირსნი არიან, აგრეთვე ის მოყვარულნიც, რომელნიც ამ წარმოდგენებში მონაწილეობას იღებენ. მხოლოდ საჭიროა უფრო ხშირად მართვა ამისთანა წარმოდგენებისა, რაც, რასაკვირველია, მოყვარულთა მონაწილეობაზე არის დამყარებული. ყოყმანს, გაუბედავობას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგანაც მიზანი ასეთი მნიშვნელოვანია. ამ ხანად წარმოადგინეს „არსენა“, წარმოდგენამ საერთოდ კარგათ ჩაიარა და კარგი შთაბეჭდილებაც მოახდინა ხალხზე. კარგნი იყვნენ მოყვარულნი ქქ. პეტრიაშვილისა, გრეკოვისა, ბბ. კილაძე, მიქელაძე და სხ. დასასრულ ხორომ იმღერა ქართული სიმღერები დაგრ. აბაშიძემ წაიკითხა რამდენიმე მშვენიერი ლექსი. ვუსურვებთ ამ საქმის მოთავეთ მხნეობას ამ ნაყოფიერ მოღვაწეობისათვის.

ქ—ი.

*** **ქ. ოზურგეთი.** შენიშვნა სამკითხველოში წეს-რიგობაზე. არა ერთხელ და ორჯელ თქმულა ჩვენს გაზეთებში, რომ თუ სამკითხველოში სიჩუმე არ არის, იქ ჯდომა და გაზეთების თვალიერება ტყუილ-უბრალოდ დროს დაკარგვაა, და ლაპარაკთან ერთად სამკითხველო ოთახში თუ ბოლიც უხვად ადის და თავბრუს გახვევს, მაშინ ხომ შვიდობით და გამარჯვებით! შეწევნითა ღვთისათა, ამ ორი სენით უხვად დაჯილდოებული არის დღეს ჩვენი სახალხო სამკითხველო. ხმა მაღლა სჯა-ბაასი საფუძვლიან საქმეზედ, მოგეცეს ღვთის წყალობა, კარგი რამ იყოს, მაგრამ სამკითხველოში კი სწორედ არ უნდა ჰქონდეს ადგილი. ეს კიდევ არაფერი. მოსწრებული სიტყვებისა და სასაცილო კომედიების კითხვა და მასთან გულიანი ხითხითი, რასაკვირველია, კარგი დროს გატარება არის, მაგრამ, უალაგო-ალაგას და უდროვო დროს ეგ თავხედობაა სხვა რომ არა ვსთქვათ რა. ამას მოჰყვება კიდევ თამბაქოს ბოლი და ეს „საზოგადო“ ადგილი ემსგავსება მესამე კლასის ვაგონს,ურიგო მგზავრებით სავსეს, მღერიან, იკინიან, ხუმრობენ და თან ზევსსაც უკმევენ პირითაგან თვისითა...

ეხლა ჩვენი ბიბლიოთეკარის ამბავსაც მოგახსენებთ: იგი იღება თორმეტ საათზედ პირველზედ ისევ იკეტება და მერე, თუ კარგ გუნებაზედ არის ისევ გაიღება ხუთ საათზედ, თუ არა და არა.

«აკაკი აკაკიჩ!»

*** **დ. სოჩა.** მოიჯარადრის საქმე. როგორც საფრანგეთში დრეიფუსის საქმემ, ისე სოჩაში მოიჯარადრე ა. რ—იას საქმემ აალაპარაკა ხალხი და გაჰყო ჯგუფი ორ ბანაკად, რომელთაგან ერთი მომხრეა, მეორე კი მოწინააღმდეგე მოიჯარადრისა. საქმე მდგომარეობს შემდეგში: მოიჯარადრეს ჰქონდა აღებული იჯარით სახაზინო ტყე და სჭრიდა მასში ბზას. როდესაც მოიჯარადრემ ბზა უკვე მოიწონა, უმაღლეს მმართველობას მიეცა „დანოსი“ და მკაცრი გამოძიების შემდეგ, რაღაც ნანქანებით, ოცდაათ ათას ფუთ ბზაში თერთმეტი ათასი ზედ მეტი გამოვიდა. ამის გამო ის, ვინც გუშინ მოიჯარადრის ფერხთა მტვერი იყო, დღეს მის წინააღმდეგ ამხედრებულა. დღეს საქმე გამოძიებაშია და მოიჯარადრე დრეიფუსისამებრ ეშმაკის კუ-

ნძულზე დღეს ალომებს და ლ
ათენებს.

— გაამგზავრეთ ფულის
ყუება ავადმყოფოსაგან. *) ამას
ნად აქედგან ერთი ჩემი ნაცნ
პირი, რომელსაც თვალები ს
ვოდა, ტფილისში წავიდა სა
მოდ, სადაც მან თვალის სამ
ნალოში დაიწყო წამლობა!
პირმა, როცა ტფილისიდან
რუნდა, მიამბო შემდეგი: „
დილას, როცა (ექიმისაგან გა
ჯვის შემდეგ) სამოცზე მეტი
დმყოფი საავადმყოფოს ზედა ს
თულიდგან ძირს ჩამოვდიოდ
კარებთან დაგვხვდა ორი სუფ
ჩაცმული კაცი, ერთს საწერ
ლამი ეჭირა ხელში, მხოლ
მეორეს-კი რაღაც ბილეთები
საერთოდ გამოგვიცხადეს შემ
გი: საავადმყოფოს გამგემ დაა
ნა დღეიდან დაგირიგდეთ თ
ეს ნომრები და იმისდა მიხედვ
თუ რომელი ნომერი გექნებ
შეხვალთ. ექიმთან რიგრიგობით
ფასი თითოეული ნომრისა
შაურიაო. გვითხრეს რა ეს,
ჩვენ შორის მყოფი გაეშურა
კენ, უთხრა ხმა-მაღლა: კი ძმ
ეგ მართალიაო, მისცა ათი შ
რი და გამოართვა პირველი ნ
მერი. მე ძალით გავაპე ხალხი
მივასწარი მეორე ნომრის აღ
რომელსაც ერთ გვერდზე ეწ
„ზაკონნია პრავა № 2“. შე
ყველამ საჭიროდ სცნო ბილ
შეძენა. უკან მოვიხედე
ვნახე რომ ერთმანეთს ასწრებდ
ბილეთების ყიდვას. ერთს დ
ბერს დააკლდა ორი კაპეიკ
მას თხოვნაზედ, ორი კაპიკ
თვის ბილეთს ნუ დამიჭერო,
ლეთის დამრიგებელმა უპასუ
რავქნა დედიჯან, ჩემი ჯიბი
ხომ არ დავადებ ფულსაო. ბოლ
ერთ მეგრელს მებილეთემ მ
დაბეჭდილი კანვერტი და უ
ნა მეორე დილას აუცილებ
მიეცა ეს ბარათი საავადმყო
გამგესათვის. იცოდე თუ არ
დაეცი, შენ გამოგრიცხავენ
ავადმყოფოდანაო, დასძინა
მეორე დილას ყველანი მოვგ
დით და რადგანაც პირველი
მერის მქონე პირს ვერ ვხედავ
შემოსვლის თანავე მე მივა
ექიმს მეორე ნომერი. რა
ესაო, დამეკითხა ექიმი. „ზა
პრავა“ არის-მეთქი ვუპასუხე.
გაუკვირდა ჩემი პასუხი, მ
კიდევ უფრო განცვიფრდა,
დესაც „ზაკონნია პრავა“
გარდა სამოცმა სხვამაც მია
ბოლოს მოვიდა ის მეგრელი
ექიმს დაბეჭდილი ბარათი მია
ექიმმა უცბად გახსნა, წაიკით

*) ვბეჭდავთ ამ ამბავს, როგორც
ტერესოს და სასაცილოს, თუმცა
ცით, რამდენად მართალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ყო სიცილი. ბოლოს ბარათი ...კადმოგვცა და რა წავიკითხეთ, ...ოდ მაშინ მივხვდით, რომ ...ნი აუარებელი ხალხი მოტ-...ულნი ვყავით.

...რათში ეწერა ქართულად შემ... ...ლექსი:

...ქმნელებით ფუღს ვშოულობთ, არ
ვეწყინოთ ტარსაიძე,
... რა ყველა მოარჩინოთ და გაუ-
შვათ თვის ადგილზე,
... თქვენცა მობრძანდებით ჩვენი
ოჯახი აგზავნიაზე
ერთი მუშათაგანი.

**ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ.** წლეულს მოდადგ-...ერთი კვირა გადის, რაც აქეთ ...უწყვეტულად სწვიმს. მდინარე ...ილა ისე მოდიდდა, რომ მა-...ხინის ხარჯით გამართულმა ...ნმა ბაღდათსა და ქუთაის-...., 3 თებერვალს მუშაობა შე-...ტა და მგზავრები ვერ გადი-...; აგრეთვე ქუთაისის და ბაღ-...ვე მოსიარულე ომნიბუსე-...ეკანვე გაბრუნდნენ თავიანთ ...ვრებით.

— ერთს ოჯახში სამი ადამია-...ავადმყოფა ერთად. ს. დიმში ...ვრები მიხეილ მალაკელიძე ...წლისა) მისი დედა და უფრო-..., ორის დღის განმავლობაში ...იცვალნენ ფილტვების ან-.... ობლად დარჩათ ოჯახში ... 13 წლის ქალი. აქ, იმე... ძალიან მძვინვარებს სხვა ...ვა გადამდები სენი, ინფუ-...ცია და ფილტვების ანთება. ... ესალმება უდრო-უდროოდ ...ობის გამო.

ი. ტ.

## ...მკურნალო ცნობა

...ნაგი და მისი წამლობა. ხუ-... ავადმყოფს, თუ ძალიან არ უფ-...დება პატრონი, მეტად საშიში ...უნა და მრავალი დიდი და პა-... ჰყავს ნამსხვერპლი. საერთოდ ...ულია მკურნალებისაგან, რომ ...დითი შემთხვევა მეტი ნაწილი ... უფილა, რადგანაც ავადმყოფი ...ი წასულა. ჩვენ უკვე მოხსენე... გვქონდა ზევით, რომ ხუნაგის ...გავლენით ავადმყოფს ხმარ...დ ...ემართება სასუნთქისა, ყანყრა... და დავიწყებისა. უზიანებს ...გულ... ...მავალ მილს, თვით კუჭს, ...ჯ... ...დრძიდებს, ტუჩებს და თვალებს, ...ყველა ზემო ჩამოთვლილ ორ-...გზედ უმეტესად უფრო საშიში ...ავარდნათ, რადგანაც ავადმყოფს ...დლების ანთება ემართება; თირ-...ის ანთება უსუსტებს და უხუ-...ვილის ცემას, რის გამო ავადმ-...ფილი ხნის . ტანჯვის შემდეგ ... მსხვერპლი ხდება. თუ ავად-... სასუნთქის და ყანყრატოს სა-... ემართება, მაშინ ის ხრინწიან-დება, უმღის საჭმლის ჩაყლაპვას და რადგანაც სითხეს დალევს რასმე, სტომაქი არ იღებს და ისევ პირიდგან ასხ-ქმებს; არც თვალებს არჩენს საღათ, მათაც უკარგავს გამომეტყველებას და საგნების გარჩევას, მაგრამ გაცილებით ხშირაა ხმის დაკარგვა და შარდზე ხშირად მიდგომა. თუმცა ხუნაგის დროს ადამიანს სუყველა ნერვები და ასოები სტკივა, მაგრამ არც ერთი მათგანი ისე საშიში არ არის და მადეც რჩებიან, გარდა გულისა, რომელსაც დიდი ფარეზობა უნდა, რომ ანთება არ დაემართოს. რა წამს ადამიანი ხუნაგით ავად ხდება, მაშინვე გულის ტკივილი ემართება. ჩვენ ხალხს საერთოდ მიღებული აქვთ და ჰგონიათ, რომ რაგი დიდი ან პატარა ხუნაგით ავად გახდება, სიკვდილს ვერ გადურჩებაო. ეს შემცდარი აზრია, რადგანაც თუ ავადმყოფს თავის დროზე მიხედა პატრონმა და ზომები მიიღო, უეჭველია მრთმა დაუფასდება და ავადმყოფი მეღავათით იხდის სნეულებას.

რამდენადაც ავადმყოფი მცირე ხნოვანია, უფრო ძნელად იხდის ხუნაგს. ხუნაგით ავადმყოფი ხანდიხან ერთს თვეზედაც ვერა რჩება და თუ შეღავათით არის, შეიძლება ორს კვირაზედაც გაუაროს. ამ უკანასკნელის დრომდის ხუნაგთან საბრძოლი წამალი არ იყო გამოკვლეული და მრავალი ახალი თაობაც გაისტუმრა საიქიოს, მხოლოდ დღეს კი გამოჩენილმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს ეს საიდუმლო, რომლის რიგიანათ ხმარებით თითქმის შეუძლებელია, რომ ხუნაგმა ადამიანი იმსხვერპლოს. ეს მეცნიერნი ბერინგი და რუ არიან. აი მათი სამკურნალო საშუალებაც ხუნაგის წინააღმდეგ საბრძოლველად: „სამკურნალო შრატი“. სამკურნალო შრატი სამ გვარად დანაწილდება: პირველი ხარისხისა, მეორე და მესამესი. როდესაც შევამჩნევთ, რომ ბავშვი ხუნაგით ავად გახდა, მაშინვე პირველი ხარისხის სამკურნალო შრატი უნდა შეუშვათ ტყავს შიგნით, რომელსამე რბილს ხორცში, თუ გვიან გავიგეთ და სნეულება უკვე ძალაშია შესული, მაშინ უნდა შეუშვათ ტყავში მეორე და მესამე ხარისხის სამკურნალო შრატი და მას შემდეგ კიდევ პირველი ხარისხის სამკურნალო შრატი უნდა გაუმეოროთ; რაც ადრე მიიღებთ ამ ზომებს, მით უფრო კარგია, სნეული მეტად მალე იკურნება. სამკურნალო შრატი დიდი ხანია გამოქვეყნებული და ნაცადია და ყველა აფთიაქში იყიდება.

ივ. კავთელი.

(შემდეგი იქნება)

## ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ

ექიმმა მენეკრატმა რაღაცა შემთხვევით რამდენიმე ავადმყოფი მოარჩინა და თავის თავს იუპიტერი უწოდა. იქამდის მივიდა მისი სულელური თავმოყვარეობა, რომ მან აკეზილას შემდეგი წერილი მისწერა: „უმაღლესი ექიმი იუპიტერი უსურვებს უმაღლეს მეფე აკეზილას კეთილ დღეობას“. მეფემ ამ წერილზე პასუხი მისწერა: „მეფე აკეზილაი უსურვებს მენეკრატს განკურნებას, ესე იგი იმ ჭკუის დაბრუნებას, რომელიც მას დაჰკარგვია“.

## ᲧᲣᲠᲛᲝᲙᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

შვეიცარს კლუბიდგან გამოჰყავს ძალზედ შეზარხოშებული სტუმარი.

— გასწით, გადით გარეთ! ღმერთო რა უბედურებაა!.. ამაღამ ეს მეათე მთვრალი გამყავს გარეთ!

— ნელა, ნელა შე ბრიყვო! ხელს ნუ მკრავ, შენ ჯამაგირს იღებ და მაშასადამე ზდილობიანათ უნდა გამიყვანო!..

—

— მომილოცეთ, მე პროფესორშა ვხდები.

— შენა? მერე საიდგან, შენ გიმნაზიაც არ გაგითავებია და პროფესორი საიდგან იქნები?

— არა ქალო, შენ ვერ მიხვდი,— პროფესორს ვირთავ ქმრად.

# ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“).

9 თებერვალი

**ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ.** პრეზიდენტის ფორის გვამის დაკრძალვის დღეს აქაური ფრანგები გადიხდიან პანაშვიდს. აქედგან გაგზავნილია გვირგვინი.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** დიდი კანცლერი გენერალი დავუ დილით წავიდა გარეშე საქმეთა სამინისტროში ლუბესათვის საპატიო ლეგიონის 1 ხარისხის ორდენის გადასაცემად.

გარეშე საქმეთა სამინისტროში დღეს ყველა მინისტრები იყვნენ. თავმჯდომარეობდა ლუბე, რომელმაც გადასცა თვისის ეპისტოლეს შინაარსი პარლამენტს. ეპისტოლე წაკითხული იქმნება პალატებში ნაშუადღევს. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, რომ ოთხშაბათს, ფორის გვამის დაკრძალვის დღეს დაკეტილი იყოს ყველა დაწესებულება, სკოლები და ბირჟები.

ელჩის თავადის ურუსოვის სურვილის თანახმად რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა ფელიქს ფორის სულის მოსახსენებლად. თავადის ურუსოვისა და საელჩოს წევრთა გარდა დაესწრნენ: ახალ პრეზიდენტის სამხედრო კაბინეტის ორი ოფიცერი, მინისტრი დელკასე, სამხედრო, ზღვათა და შინაგან საქმეთა მინისტრების წარმომადგენელნი და მრავალნი რუსნი.

პრეზიდენტის ფორის გარდაცვალებისა გამო თავადმა ურუსოვმა გადახდო ოფიციალური სადილები და ოფიციალური დარბაზობა, რომლებიც მარტში იყო დანიშნული.

**ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ.** შუისკო-ივანოვსკის რკინის გზაზე, ნოვკის სადგურიდგან 109 ვერსის მანძილზე მატარებელი რელსებს გადასცდა. დაიმტვრა შვიდი ვაგონი. უფროსი კონდუქტორი, მემანქანეს თანაშემწე და ერთი მოსამსახურე ძლიერ დაშავდნენ.

10 თებერვალი

**ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ.** ფორის დასაფლავებაზე დასასწრებლად წავიდა უმაღლესად დანიშნული სამხედრო დეპუტაცია, გენერალ-ლეიტენანტის ბიდერლინგის მეთაურობით.

**ᲑᲝᲛᲑᲔᲘ.** მასკატის სულთანმა ეხლა უარი განაცხადა საფრანგეთისათვის ნახშირის საწყობ სადგურის დათმობაზედ, რისი თანხმაც იყო წინაზედ, იმის გამო, რომ ინგლისის ადმირალი დაემუქრი, ყუმბარებს დაგიშენო. ინგლისის გემები „Flipre“, Sphina„ და Kebreost“ ნავთსადგურში სდგანან. სულთანმა პროკლამაცია გამოსცა, რომელშიაც აცხადებს სადგურის დათმობის შესახებ პირობის შეცვლას და ამის მიზეზს. ეს პროკლამაცია გაკრულია სულთანის ბრძანებით სახალხოდ. საფრანგეთის კონსულმა წინააღმდეგობა განაცხადა. მასკატში სრული მყუდროებაა. პროკლამაცია მოიწონა ადგილობრივმა მცხოვრებლებმა.

**ᲞᲔᲙᲘᲜᲘ.** ჩრდილოეთ რკინის გზის დირექტორის ხუს სამსახურიდგან დათხოვნის გამო ატეხილმა უთანხმოებამ თითქმის კრიზისის ხასიათი მიიღო. მაკდონალდის დეპეშა ცუნგლი-იამენთან იმის შესახებ, რომ დირექტორის გამოცვლა შეიძლება მხოლოდ კონ-კონგ-შანხაის საბანკო ამხანაგობის თანხმობით შეიძლებაო, ჯერაც უპასუხოდ არის დატოვებული. მაკდონალდი გაუგზავნის ცუნგლი-იამენს მეორე დეპეშას, რომლითაც მოითხოვს, რომ მიუდგომლად იქმნეს გამოძიებული ის საქმე, რაშიაც ხუს ბრალი ედებაო.

**ᲞᲐᲠᲘᲖᲘ.** იმ ზომების გამო, რომელნიც მთავრობამ მიიღო, რათა მანიფესტაციების განმეორებისთვის ხელი შეეშალა, სენატის ბიურომ გარდასწყვიტა ეხლა არ შეეკითხოს მთავრობას. ლებრე კითხულობს პრეზიდენტის ეპისტოლეს, რომელსაც ალტაცებით მიეგებნენ. ბისეილმა მოხსენება წარადგინა იმ პროექტის შესახებ, რომელიც თხოულობს, რომ დრეიფუსის საქმის გადათვალიერება ჩამოერთვას სისხლის სამართლის პალატასო. სენატმა ერთხმად, უკამათოდ, დაამტკიცა კრედიტი ფორის დასასაფლავებლად. უკამა-

თოლდვე მიღებულ იქმნა პროექტი დროებით კრედიტის შესახებ. კრება დაიშალა.

**პარიზი.** ქალაქის საბჭომ პროკლამაცია გამოსცა, რომელშიაც ურჩევს ხალხს წინააღუდგეს რესპუბლიკის მტრებს, რომელთაც აზრად აქვსთ ფორის დასაფლავების დროს შემთხვევა იშოვონ და არეულობა მოახდინონ.

**პარიზი.** ლუბეს ეპისტოლეში, რომელიც წაკითხულ იქმნა პალატასა და სენატში, ნათქვამია: „ბ-ნნო სენატორებო, ბ-ნნო დეპუტატებო! მიწოდებული ქვეყნის უმაღლეს ადგილზედ, მე უდიდესის თანამდებობის ასასრულებლად, რომელიც ვალად მედება, ვსაჭიროებ სენატისა და დეპუტატთა პალატის დახმარებას. მე დახმარებას გთხოვთ თქვენ და იმედი მაქვს, არ მომაკლებთ იმას. ბ-ბო, თქვენ იმედი უნდა გქონდეთ ჩემის შეურყეველი გარდაწყვეტილებისა—მოვანდომო მთელი ძალ-ღონე კონსტიტუციის დაცვას. ამისი თავდები არის ჩემი შეუცვლელი სამსახური რესპუბლიკისადმი. კანონიერი გადმოცემა უფლებისა, რომელიც მოხდა რამდენიმე საათის განმავლობაში საყვარელის პრეზიდენტის ფელიქს ფორის უცბათ სიკვდილის შემდეგ, მთელი ქვეყნიერობის წინაშე იმის ახალი დამამტკიცებელი საბუთი, რომ საფრანგეთი ერთგულია რესპუბლიკისა იმ დროს, როცა რამდენიმე უგნურმა კაცმა განიზრახა შეერყია ნდობა არსებულ წეს-წყობილებისადმი, ეროვნულმა კრებამ ცხადათ დაამტკიცა 18 თებერვალს, რომ მას სურს დაამშვიდოს ქვეყანა და აღადგინოს და განამტკიცოს ერთობა რესპუბლიკელებისა, რომელნიც გულმხურვალე თანამგრძნობნი არიან საფრანგეთის რევოლიუციის პრინციპებისა და თავისუფალ მმართველობისა. მე მუდამ იმის მეცადინეობაში ვიქნები დავეხმარო პარლამენტს ამ საჭირო საქმეში. დროებითი გაჭირვებამ, რომელიც გამოიარა საფრანგეთმა დინჯად, თავმომწონედ და პატრიოტულის გრძნობით, აღამაღლა იგი ქვეყნიერობის თვალში. რატომ იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ შესაძლებელია თანხმობა ჩვენს შინაურს საქმეებში? განა ეს თანხმობა არ არსებობს აქა? განა იმის ეჭვი აქვს ქვეყანას, რომ საჭირო არ არის პატივი ვსცეთ საზოგადო დაწესებულებათ: ორთავე პალატას, სადაც თავისუფლათ განიხილებიან ხოლმე კანონები მოსამართლეებს, რომელნიც განახორციელებენ ხოლმე კანონებს; მთავრობას, რომელიც უზრუნველჰყოფს ხოლმე კანონების შესრულებას; და ეროვნულს მხედრობას, რომელიც იფარავს სამშობლოს დამოუკიდებლობას და ერთობას, მხედრობას, რომელიც ქვეყანას უყვარს და საბუთიც აქვს უყვარდეს, რადგან იცის, რომ ის არის მისის დიდებისა და კანონების ჭეშმარიტი დამცველი. საფრანგეთს, რომელსაც იმედი ექნება თავისი თავისა, შეძლება ექმნება გულდამშვიდებით იმუშაოს იმ საგნების გარდასაწყვეტად, რომელნიც ეხებიან მკვიდრთა ზნეობრიულს და ქონებრიულს კეთილდღეობას, და განაგრძოს თავისი მშვიდობიანი და ნაყოფიერი მუშაობა, როგორც აზროვნობისა, მეცნიერებასა და ხელოვნებაში, ისე იმ საქმეში, რომელსაც ეკონომიური კეთილდღეობა მოჰყვება—მიწად-მოქმედებასა აღებ-მიცემობასა, და წარმოებაში. უფრო სამართლიანი ვიყოთ ჩვენ შესახებ და ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენ საფრანგეთს მუდამ ერთნაირად უყვარდა პროგრესი, სიმართლე, და კაცის ღირსება-თავისუფლება. რესპუბლიკამ მიანიჭა საფრანგეთს თავისუფალი დაწესებულებანი, იმან უზრუნველყოფილ ჰყო დაუფასებელი სიკეთე მშვიდობიანობისა, იმან განკურნა მისი ჭრილობანი, გააუმჯობესა მისი მხედრობა და ფლოტი, დაარსა ვეებერთელა საახალშენო იმპერია, განაკარგა საერო განათლება, მოიპოვა ძვირფასი მეგობრები, აღამაღლა წარმოება და სხ. გავავრცელოთ ეს წარმოება, რომელიც პატივსა სდებს ჩვენს ქვეყანას. მე ბედნიერად ჩავრაცხ ჩემ თავს, თუ მოვახერხე იმ ფარგალში, რომელსაც კონსტიტუცია მანიჭებს, განვახორციელო ჩვენი საერთო სურვილი და გავაძლიერო რესპუბლიკა.

**პარიზი.** პალატაში, სადაც მრავალი დეპუტატი იყო შეკრებილი, ეპისტოლეს კითხვა რამდენჯერმე შეწყვეტილ იქმნა ტაშის ცემით, და ბოლოს „ვაშას“ ძახილი გაისმა. შემდეგი კრება პარასკევს იქმნება.


# განცხადებანი

გამოვიდა და ისყიდება ქალაქის ყველა წიგნის მაღაზიებში და ეკლესიებში.

ცხოვრება ღირსისა დედისა

## თეოდორასი

ალექსანდრიელისა

სურათით

მეორე გამოცემა, მორჩილის რ ჟ-დენ ბარამამას მიერ.

წიგნს შეიცავს 24 გვერდს და ღირს ერთი შაური (10—6)

Открыта подписка на 1899 г. на

два еженедѣльные иллюстрированные журнала для дѣтей и юношества

# ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО

основанные С. М. Макаровою и издаваемые подъ редакціею И. Х. Вес...

XXIII-й годъ изданія

„ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО“ въ 1899 году, по примѣру прежнихъ лѣтъ, б... выходить въ двухъ совершенно самостоятельныхъ изданіяхъ:

**I. «ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО»**
**журналъ для дѣтей младшаго возраста**
(отъ 5 до 10 лѣтъ).

✦ Подписчики на „Задушевное Слово“ для дѣтей младшаго возраста въ теченіе 1899 года получатъ: 52 №№ богато иллюстрированнаго журнала „Задушевное Слово“ и премію: большую олеографическую картину „Попроси Хорошенько“ а также „Библіотечку Задушевнаго Слова“, въ составъ которой войдутъ четыре книжки съ раскрашенными и черными картинками въ оригинальномъ форматѣ: 1) „На Досугѣ“. 2) „Дѣтскія Пѣсенки“, 3) „Мальчикъ съ пальчикъ“ и 4) „Дѣвочка съ Башмачками“.—Въ каждомъ номерѣ журнала будетъ помѣщена какая-нибудь игра или занятіе для дѣтей, юмористич. рисунки и пр. Журналъ печатается крупнымъ шрифтомъ.

**II. «ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО»**
**журналъ для дѣтей старшаго во...**
(отъ 10 до 14 лѣтъ).

✦ Подписчики на „Задушевное... во“ для дѣтей старшаго возраста в... ченіе 1899 года получатъ: 52 №№ ... иллюстрированнаго журнала „Заду... слово“ и премію: „Календарь“ съ сп... никомъ Для Учащихся“ въ перш... 1898—99 учебный годъ, а также 52 ... пуска „Библіотеки Знаменитыхъ П... лей Для Юношества“, въ составъ ... рой войдутъ слѣдующія сочиненія: ... крытіе Америки“, А. Е. Разина съ ... 2) „Исторія Меленькаго Человѣ... Додэ, съ иллюстр., 3) „Послѣдній ... гиканъ“, Ф. Купера, съ рис. Ан... и 4) „Пертская Красавица“, Ва... Скотта, съ иллюстр.

✦ Кромѣ того, при каждомъ изданіи журнала «Заду... наго Слова» будутъ разсылаться особыя приложенія для р... телей: „Педагогическій Листокъ“ и «Дѣтскія Моды»

✦ Подписная цѣна каждому изданію «Задушевнаго С... ва» (по выбору подписчиковъ), со всѣми преміями и прил... ніями, съ доставкою въ С.-Петербургѣ и съ пересылкою во... мѣста Россійской имперіи – 6 рублей; за-границу – 8 рублей.

✦ Допускается разсрочка платежа на три срока, По ... рубля: 1) при подпискѣ, 2) къ 1-му февраля 1899 г. и ... 1-му мая 1899 г.

✦ *подписной годъ съ 1-го ноября 1899 годъ* ✦

Подписка принимается въ книжныхъ магазинахъ товарищества **М. О. Вольфъ.**

С.-Петербургъ, Гостиный дворъ, № 18. ✦ Москва, Кузнецкій мостъ № ...

(6—3)

**1899 годъ** **изданія годъ**

Отрыта подписка на выходяшее 20 разъ въ годъ, т. е. по одному р... теченіе четырехъ лѣтнихъ мѣсяцевъ (май, іюнь, іюль, августъ) *и по дв...* въ остальное время, илюстрованное изданіе безъ предварительной цен...

# *„Журналъ Журналовъ*

и

**Энциклопедическое Обозрѣніе“.**

Въ 1898 году были напечатаны слѣдующія оргинальныя статьи: проф.—... тизмъ и внушеніе;—Замѣтки о соціализмѣ; —Х-лучи Рентгена. Радіоско... діографія; —Истребленіе свѣта растеніями:—1) Вліяніе смѣшенія рас... исхожденіе генія, 2) Международный языкъ будущаго; В. Р. Головачевъ.—О ... флота для Россіи на основаніе исторіи, И. А. Гриневскій.—1) Альфонсъ Додэ, 2) ... выставка, 3) Альма Тадема; 4) Герг. Гауптманъ; проф. Н. Коркуновъ—1) Доменико ... ландайо и вновь открытая во флоренціи его фреска, 2) Экономическія теоріи ... ства; проф. 1) Послѣдствія американской побѣды, 2) Типъ преступной же... М. М. Манасеина О деньгахъ и о богатствѣ; проф. Д. И. Менделѣевъ Золото и ... ребра; проф. Обсерваторія на Монрозѣ и альпійская станція; проф. О совпад... (съ примѣч. Тріема); Л. Е. Оболенскій Дикость совершенныхъ западно-евро... ныхъ масъ и ея причины; проф. О чародѣйствѣ и волшебствѣ у первобытны... довъ, 1) Задачи воздухоплаванія въ 1897 г., 2) Стремленіе къ жизни ... конечныхъ причинъ; проф. Л. Саккети Задачи искуства; прив.-доц. Спб. Унив. ... рафимовъ—Новости астрономіи; акад. кн. И. Р. Тархановъ.—1) Неожид. науч... слѣдіе стараго года, 2) О періодичности въ явленіяхъ жизни, 3) Физич. энергі... роды въ качествѣ цѣлебн. силъ, 4) О чувствѣ оріентированія у голубей, 5) ... луби, 6) О закаливаніи человѣка, 7) О нейронахъ, 8) Физіол. и психол. обезгла... 9) Рентгеновы лучи и Өемида; и др.; Тремъ.—О томъ, что было, но прошло и ... поросло; и другія статьи разныхъ авторовъ.

Кромѣ оргинальныхъ статей, не появлявшихся до сего въ печати и на... ныхъ большею частью спеціально для журнала выдающимися учеными и мысли... какъ русскими, такъ и иностраными. въ отдѣлѣ „Изъ журналовъ“ печатаются ... ты замѣчательнѣйшихъ статей, и статей извѣстнѣйшихъ авторовъ, появляющ... русской или иностранной періодической прессѣ. а также критика и библіографі... зрѣніе русскихъ и иностранныхъ журналовъ смѣсь, гигіена и здоровье и пр. В... рамму журнала входитъ: науки естеств., медиц. физико-математ., исторія и об... науки, философія, метафизика, психологія, литература, искуства, критика и т. д.

Отдѣлъ наукъ естественныхъ и медицинскихъ при сотрудничествѣ и по... блюденіемъ акад. кн. И. Р. Тарханова; исторіи—при сотрудничествѣ ... Головачова.

| | | на годъ. |
|---|---|---|
| Подписная цѣна. | На роскошное изданіе съ доставк. и перес. | 10 р. |
| | На дешевое изданіе безъ достав. | 5 „ |
| | „ „ „ съ достав. | 6 „ |
| | За границу деш. изд. | 9 „ |
| | „ „ роск. изд. | 14 „ |

Отдѣльные номера дешеваго изданія по 75 к., роскошнаго изданія по 1 ...

Роскошное изданіе печатается на лучшей бумагѣ съ улучшенными илл... ми и иногда съ увеличеніемъ ихъ количества. Разсрочка на дешевое изданіе с... сылкою и доставкою при обращеніи непосредственно въ контору журнала д... ется со взносами не менѣе 1 р. ежемѣсячно съ 1 января.

Подписка и продажа отдѣльныхъ №№ во всѣхъ значительныхъ ...выхъ ... зинахъ и въ конторѣ журнала.

Издатель-редакторъ И. П. Кондыревъ.

Контора и редакція СПБ., Гороховая, 13 (уголъ Б. Морской).

(10—...)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Февраля 1899 г. სტ. ... (ვ. ...), რედაქტორ-გამომცემელი ... ბ.